სურსათის ეროვნული სააგენტო

ჯვლევითი ლაბორატორიის მომსახურების შესყიდვა
73111000

სატენდერო დოკუმენტაცია

2014 წელი

სარჩევი

1. ტექნიკური დავალება მოსაწოდებელ მომსახურებაზე _____ 3

2. ელექტრონულად წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალი _____ 5

3.დამატებითი ინფორმაცია _____ 6

4.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი _____7

5.დანართი №1 (აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა) _____ 11

6. დანართი №2 (რეკვიზიტები) _____ 12

7.დანართი №3 (ცხრილი №1; №2)_____ 13

1. ტექნიკური დავალება:

1.1. შესყიდვის ობიექტია:

1.1.1. არაცხოველური წარმოშობის სურსათის ლაბორატორიული კვლევა (მომსახურების ადგილმდებარეობა – აღმოსავლეთ საქართველო) __ **ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა -100.**

1.2. ლაბორატორიული კვლევისათვის წარდგენილი ნიმუშების ტესტირება (გამოცდა) უნდა ჩატარდეს საქართველოში მოქმედი ნორმატიული ბაზის შესაბამისად.

1.3. ასევე შესაძლებელია კვლევები ჩატარდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

1.4. თუ მოცემულ პროდუქციაზე არსებობს ცალკე ტექნიკური რეგლამენტი ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებიც.

1.5. ლაბორატორიას დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს სახეობაში შემავალი სურსათის ნიმუშის ცხრილში მოცემული ჩამონათვალის **50%** ან მეტი რაოდენობის გამოცდა/ტესტირება, **მათ შორის სავალდებულოა დანართი №3-ში მითითებული, წითელი, გამუქებული შრიფტით გამოყოფილი მაჩვენებლების გამოცდა/ტესტირება** .

1.6. ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს ნიმუშის მაჩვენებლების გამოცდა ცხრილში მითითებულ ვადებში და ფასებში.

1.7. ლაბორატორიული გამოცდის მიზნით აღებული სურსათის ნიმუში ლაბორატორიას გადაეცემა სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელის მიერ მიმართვით. სააგენტო ლაბორატორიას აუნაზღაურებს მხოლოდ მიმართვაში ასახული და ჩატარებული კვლევის ღირებულებას. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან ნიმუშის/სინჯის ამღები უფლებამოსილი თანამშრომლის დაუყოვნებელი ინფორმირება (სატელეფონო შეტყობინებით ან ფაქსით) ნიმუშის/სინჯის გამოცდის შედეგების შესახებ, ხოლო გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობით, კვლევის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში. თუ აღნიშნული 48 საათიანი ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დღეს, გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაეგზავნოს შემსყიდველს ვადის ამოწურვიდან პირველივე სამუშაო დღეს. ანგარიშსწორების მიზნებისათვის, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული გამოცდის ოქმის ორიგინალი და მიმართვა ინვოისთან ერთად წარადგინოს შემსყიდველთან არაუგვიანეს 25 დეკემბრისა.

1.8. ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს აკრედიტაციის პასპორტის შესაბამისი ფორმის მიხედვით ჩატარებული ტექნიკური ოპერაციის, თითოეული გამოცდა-ანალიზის, საანალიზო ნიმუშების გამოცდის ოქმების, გრაფიკების, გაზომვების, ცხრილების, ნახაზების, მიღებული პასუხების, ინსტრუმენტალური კვლევის შედეგების, შენახვა და დაცვა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ და წარმოადგინონ ისინი მოთხოვნის შემთხვევაში.

1.9. თუ ლაბორატორიას მომსახურების მიწოდებისას გასდის აკრედიტაციის ვადა, მან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს ვადის გასვლიდან ერთი თვისა, უნდა უზრუნველყოს ახალი აკრედიტაციის მოპოვება.

1.10. ლაბორატორიული კვლევის თითოეული სახეობის ღირებულება გამოყვანილი უნდა იყოს ქვემოთმოყვანილი მეთოდის შესაბამისად:

1.10.1. **ლაბორატორიული კვლევის სახეობის (შემდგომში „სახეობა")** მთლიანი ღირებულება იანგარიშება შემდეგნაირად: სახეობაში შემავალი სურსათის ერთი ნიმუშის/სინჯის გამოცდის საშუალო ღირებულება გამრავლდება სახეობაში შემავალი სურსათის სავარაუდო ნიმუშების/სინჯების რაოდენობაზე;

1.10.2. სახეობაში შემავალი სურსათის ერთი ნიმუშის/სინჯის გამოცდის საშუალო ღირებულება იანგარიშება შემდეგნაირად: სახეობაში შემავალი სურსათის ერთი ნიმუშის/სინჯის ერთი მაჩვენებლის გამოცდის საშუალო ღირებულება გამრავლდება სახეობის კოეფიციენტზე;

1.10.3. სახეობაში შემავალი სურსათის ერთი ნიმუშის/სინჯის ერთი მაჩვენებლის გამოცდის საშუალო ღირებულება იანგარიშება შემდეგნაირად: სახეობაში შემავალი სურსათის ნიმუშების/სინჯების გამოცდის ყველა განფასებული მაჩვენებლის ღირებულების ჯამი გაიყოფა განფასებული მაჩვენებლების რაოდენობაზე;

1.10.4. სახეობის კოეფიციენტი არის სახეობაში შემავალი სურსათის ერთ ნიმუშში/სინჯში გამოსაცდელი მაჩვენებლების წინასწარდადგენილი სავარაუდო-საშუალო რაოდენობა, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

1.10.5. **არაცხოველური წარმოშობის სურსათის ლაბორატორიული კვლევის კოეფიციენტია - 14.**

1.11. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადს;

1.12. საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება;

1.13. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში;

<u>სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებზე</u>

2. პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია - ელექტრონულად წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალი

პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექ.დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.1. პრეტენდენტის რეკვიზიტები (სრული დასახელება, საბანკო რეკვიზიტები, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ელ.ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი, ხელმძღვანელისა და/ან ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა) – დანართი №2;

2.2. პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი ფასების ცხრილი (დანართი №3)*;

2.3. აკრედიტაციის მოწმობა (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

2.4. აკრედიტაციის სფეროს ის ნაწილი, (ნოტარიულად ან აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამოწმებული ასლი), რომელითაც დასტურდება, რომ პრეტენდენტს შეუძლია მოცემულ ტენდერში განსაზღვრული გამოსაკვლევი მაჩვენებლების ტესტირება.

2.5. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტმა სუბკონტრაქტორის მიმართაც უნდა წარმოადგინოს 2.1, 2.3 და 2.4 პუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია და მათ შორის დადებული ხელშეკრულება.

ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტის ხელმძღვანელის ან შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

3. დამატებითი ინფორმაცია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა მოცემულია აღნიშნული დოკუმენტაციის დანართ №1-ში. დანართი №1-ით გათვალისწინებული აფიდავიტის ფორმა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისათვის. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესაბამის ღილაკზე ელექტრონული დაჭერით;

3.2. სხვა ინფორმაცია და განმარტებები შესაძლებელია მიღებულ იქნეს შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

გერონტი ფრუიძე
თბილისი, მარშალ გელოვანის №6,
სურსათის ეროვნული სააგენტო;
ოთახი №20
ტელ: 919167 (შიდა 130); 599 38 14 06
ელ.ფოსტა: geronti.pruidze@nfa.gov.ge

ფრიდონ ალავიძე
თბილისი, მარშალ გელოვანის №6,
სურსათის ეროვნული სააგენტო;
ოთახი №20
ტელ: 2 91 91 67 (შიდა 130); 577 08 07 27
ელ.ფოსტა: fridon.alavidze@nfa.gov.ge

შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან - 18 საათამდე.

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად.

წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი ___ _____ 2014 წ.

ერთის მხრივ ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო*** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი _____ _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის (დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე", "კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5. „არაჯეროვანი შესრულება" - ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის ისეთი სახის მომსახურების მიწოდება, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საგანს, თუმცა ბოლომდე არ აკმაყოფილილებს აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობას.

1.6. „ტექნიკური დავალება" - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.7. „ტექნიკური დოკუმენტაცია" - მიმწოდებლის მიერ ტენდერში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **არაცხოველური წარმოშობის სურსათის ლაბორატორიული კვლევა** (მომსახურების ადგილმდებარეობა – აღმოსავლეთ საქართველო) __ **ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა - 100.**

2.2. მომსახურების მიწოდების პირობების აღწერა მითითებულია ტექნიკურ დავალებაში

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ (თანხა სიტყვიერად) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

4. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2014 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მხარეებს შორის მომსახურების მიწოდებაზე გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირი განისაზღვრება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება 10 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების გაწევის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილი ხარისხითა და სტანდარტების მომსახურება;

7.4.2. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან ნიმუშის/სინჯის ამღები უფლებამოსილი თანამშრომელის დაუყოვნებელი ინფორმირება (სატელეფონო შეტყობინებით ან ფაქსით) ნიმუშის/სინჯის გამოცდის შედეგების შესახებ;

7.4.3. გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობით, კვლევის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში. თუ აღნიშნული 48 საათიანი ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დღეს, გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაეგზავნოს შემსყიდველს ვადის ამოწურვიდან პირველივე სამუშაო დღეს.

7.4.4. თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული გამოცდის ოქმის ორიგინალი და მიმართვა საანგარიშსწორებო დოკუმენტთან ერთად წარადგინოს შემსყიდველთან არაუგვიანეს 25 დეკემბრისა.

7.4.5. ამ მუხლის 7.4.3. და 7.4.4. პუნქტებში გათვალისწინებული ვადები იანგარიშება (იწყება) მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებული გამოსაკვლევი მაჩვენებლის შესრულების ვადებით განსაზღვრული ბოლო საათის ამოწურვის დადგომის დღის დამთავრებიდან.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირ(ებ)ი;

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და გაწეული მომსახურების, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

8.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი, საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისი.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

10.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 7.4.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 % ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

10.3. ხელშეკრულების 10.1. პუნქტით გათავლისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 6.3. პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 30 დღის განმვლობაში;

10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

10.5. თუ ხელშეკრულების 10.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, შემსყიდველ უფლება აქვს ცალხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.6. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. შემსყიდველის დაფინანსების წყაროს შემცირების ან დაგეგმილი შემოსავლების ნაკლები რაოდენობით მიღების შემთხვევაში (თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა გათვალისწინებული იყო ამ შემოსავლებიდან), შემყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

12.5. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განხლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის მომენტიდან 2015 წლის 31 იანვრამდე.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
---	---

აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.

დანართი №2

რეკვიზიტები

პრეტენდენტის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
იურიდიული და ფაქტიური მისამართი:	
ელ.ფოსტა:	
საკონტაქტო ტელეფონები:	
ხელმძღვანელისა და/ან ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა:	
საბანკო რეკვიზიტები	
ბანკის დასახელება:	
ბანკის კოდი:	
ა/ანგარიშის №:	

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი _____

არაცხოველური წარმოშობის სურსათი
(მომსახურების ადგილმდებარეობა – აღმოსავლეთ საქართველო).

გამოსაკვლევი მაჩვენებლები, მათი ღირებულება და შესრულების ვადები (**შენიშვნა – აღინიშნება იმ შემთხვევაში, როცა მაჩვენებლის გამოცდას ატარებს სხვა ლაბორატორია**)

№		**გამოსაკვლევი მაჩვენებლის დასახელება**	**მაჩვენებლის 1 გამოცდის ფასი ლარებში**	**შესრულების ვადები საათებში**	**შენიშვნა**
					14
I		**ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, სულ: 5**			
	1	ფერი			
	2	არომატი			
	3	სუნი			
	4	გემო			
	5	კონსისტენცია, ფორმა, ზედაპირი			
II		**მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, სულ: 9**			
	1	**მაფანმრ**			
	2	**ნჩჯბ**			
	3	**პათოგენები, მ.შ. სალმონელები**			
	4	**S.aureus**			
	5	**საფუარის სოკოები**			
	6	სულფიდმარედუცირებელი კლოსტრიდიები			
	7	B. cereus			
	8	**ობის სოკოები**			
	9	საწარმოო სტერილობის განსაზღვრა			
III		**ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები, სულ: 12**			
	1	მარედუცირებელი შაქრების მასური წილი			
	2	საქაროზას მასური წილი			
	3	დიასტაზური (ამილაზა) რიცხვი			
	4	ოქსიმეთილფურფუროლი			
	5	ტენი, წყლის მასური წილის განსაზღვრა			
	6	მტვრის ანალიზი, მტვრიანობის განსაზღვრა			

	7	კოფეინი			
	8	ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა			
	9	ქლორიონების და სულფატიონების მასური წილი			
	10	კალიუმის იოდიდის და კალიუმის იოდატის განსაზღვრა			
	11	იოდის მასური წილი			
	12	**ნიტრატი**			
IV		**ტოქსიური ელემენტები, სულ: 10**			
	1	**ტყვია**			
	2	**დარიშხანი**			
	3	**კადმიუმი**			
	4	**ვერცხლისწყალი**			
	5	სპილენძი			
	6	თუთია			
	7	კალა			
	8	ქრომი			
	9	რკინა			
	10	ნიკელი			
V		**მიკოტოქსინები, სულ: 5**			
	1	**აფლატოქსინი B1**			
	2	**დეზოქსინივალენონი**			
	3	**პატულინი**			
	4	T-2 ტოქსინი			
	5	ზეარალენონი			
VI		**პესტიციდები, სულ: 5**			
	1	ჰექსაქლორციკლოჰექსანი			
	2	დდტ და მისი მეტაბოლიტები			
	3	ჰექსაქლორბენზოლი			
	4	ვერცხლისწყალორგანული პესტიციდები			
	5	2,4-D მჟავა, მისი მარილები და ეთერები			
VII		**პოლიქლორირებული ბიფენილები, სულ 1**			
VIII		**ნიტროზამინები, სულ: 2**			
	1	ნდმა-ისა და ნდეა-ის ჯამი			
	2	ბენზ(ა)პირენი			
IX		**რადიონუკლიდები, სულ: 2**			

	1	ცეზიუმ-137			
	2	სტრონციუმ-90			
X		**პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები, სულ: 4**			
	1	ჭვავის რქა			
	2	გუდაფშუტა			
	3	ფუზარიოზული მარცვალი			
	4	მწერებითა და ტკიპებით დაბინძურება			

ცხრილი №2

ფასების ცხრილი

№	ლაბორატორიული კვლევის **სახეობა**	ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ლაბორატორიული კვლევის სახეობის (სატენდერო წინადადების) ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1.	**არაცხოველური წარმოშობის სურსათის** ლაბორატორიული კვლევა (მომსახურების ადგილმდებარეობა – აღმოსავლეთ საქართველო).	100		
				ლარი

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი _____